შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (10.083)

29 ივლისი—5 აგვისტო 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ულოცავენ!

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ელიაობას და დედოფლისწყაროობას.

შემთხვევითი არაა, რომ თითოეული დედოფლისწყაროელისთვის გამორჩეულად საყვარელი დღესასწაულები ერთ დღეს აღინიშნება, რადგან წმ. ელია ჩვენი ქალაქის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მთავარი სიმბოლო და უპირველესი სალოცავია.

ელიაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უძველესი დროიდან აღინიშნებოდა. ამ დღეს განსაკუთრებულად დედოფლისწყაროში დღესასწაულობენ, სადაც ელიას მთაზე წმიდა ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარი მეექვსე საუკუნიდან არსებობს.

რადგან ელიაობა ჩვენთვის ასე ძვირფასია, საუკეთესო გადაწყვეტილებაა „ელიაობის“ და „დედოფლისწყაროობის“ ერთ დღეს აღნიშვნა. ეს ტრადიცია 2013 წელს დამკვიდრდა და ამ დროის განმავლობაში ჩვენს დედოფლისწყაროელებს და სტუმრებს არაერთი დაუვიწყარი ზეიმი მოვუწყეთ. ჩვენი საყვარელი ქალაქი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ასე ძალიან გალამაზდა, ამას ნამდვილად ნამდვილად იმსახურებს .

ჩემო დედოფლისწყაროელებო, კიდევ ერთხელ მთელი გულით გილოცავთ ელიაობას და დედოფლისწყაროობას და ოთხშაბათს, ორ აგვისტოს, გიწვევთ დაუვიწყარ ღონისძიებაზე. კონცერტი, რომელიც თქვენ, ჩვენი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს გეძღვნებათ, კულტურის ცენტრის ეზოში 18:00 საათზე დაიწყება. მანამდე კი, 11:00 საათიდან ელიის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართულ ჭიდაობაში ტრადიციულ რესპუბლიკურ ტურნირს ვუმასპინძლებთ. მობრძანდით, ერთად აღვნიშნოთ „დედოფლისწყაროობა“ და შევიქმნათ საუკეთესო განწყობა.

წმინდა ელიის მადლი ფარავდეს დედოფლისწყაროს და სრულიად საქართველოს!

პატივისცემით

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ჩემო ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ელიაობას და დედოფლისწყაროობას.

ყველა დამეთანხმებით, თუ რამდენად ამაღლებული და ძვირფასი დღესასწაულია ელიაობა თითოეული დედოფლისწყაროელისთვის. ტრადიცია, რომელიც საუკუნეებს ითვლის და დროთა განმავლობაში რელიგიურ და სახალხო ზეიმად იქცა, დღემდე განსაკუთრებული პატივისცემითა და სიხარულით აღინიშნება. 2013 წელს ელიაობის დღესასწაულს „დედოფლისწყაროობის“ აღნიშვნაც დაემატა, რაც ორმაგად სასიხარულოა -დედოფლისწყარო და ელია, ეს ხომ თითქმის განუყოფელი სიტყვებია.

ჩემო საყვარელო ადამიანებო, ჩემო დედოფლისწყაროელებო, მთელი გულით გილოცავთ ორივე ღირსშესანიშნავ თარიღს, გისურვებთ სიმშვიდეს, სიხარულსა და ბედნიერებას.

წმინდა ელია შეგეწიოთ !

პატივისცემით,

ნუგზარ პაპიაშვილი,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

რთველის სუბსიდირება 2023 წელსაც გაგრძელდება

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში 2023 წლის რთველის მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე რთველის ორგანიზებულად ჩასატარებლად კონკრეტული ნაბიჯები დაიგეგმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, აუცილებელია, რომ მევენახეებმა მოსავლის რეალიზაცია კარგ ფასად შეძლონ და კიდევ უფრო გაძლიერდეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ბოლო წლების სტაბილური განვითარების დინამიკა.

შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რთველის სუბსიდირება 2023 წელსაც გაგრძელდება, სახელმწიფო ყურძენს 20 თეთრით დაასუბსიდირებს და 1 კგ თეთრი ყურძნის ფასი მინიმუმ 90 თეთრი იქნება.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ იზრდება ღვინის ექსპორტი, შარშან 30%-მდე ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა და წელსაც, 6 თვეში ძალიან მაღალი ზრდა გვაქვს ამ მიმართულებით. გასულ წელს მსოფლიოს 66 ქვეყანაში ექსპორტირებულია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის - 103 მილიონი ლიტრი, 252 მლნ დოლარის ღირებულების ღვინო. მინისტრის თქმით, ღვინის ექსპორტთან ერთად იზრდება მოთხოვნა ხარისხიან ყურძენზეც.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ კლიმატური პირობების გამო, მოსალოდნელია, რომ წელს ყურძნის მოსავლის ნაწილი არასათანადო ხარისხის იყოს. მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კომპანიები დაზიანებულ ყურძენსაც მიიღებენ და ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილი, თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან მუხუზლა, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და კახეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი ესწრებოდნენ.

„საღამო არის ჩემი წიგნი"

27 ივლისს, საქართველოს მწერალთა სახლმა, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ავსტრიელი პოეტის რაინერ მარია რილკეს ლექსების ქართული თარგმანის ახალი კრებულის "საღამო არის ჩემი წიგნი" პრეზენტაციას უმასპინძლა. წიგნი „გამომცემლობა „პალიტრა L"-მა გამოსცა. ამ კრებულში რაინერ მარია რილკეს 50 ლექსია შესული.

რილკეს შემოქმედებას წლების განმავლობაში დიდი სიფრთხილითა და დაფიქრებით თარგმნიდა პოეტი ირმა შიოლაშვილი. საბოლოოდ, ამ თარგმანებმა ერთად მოიყარა თავი კრებულში, რომელიც, ლიტერატორ გიორგი ლობჟანიძის შეფასებით, „დიდი ცოდნის, გერმანული და ქართული პოეტური ტრადიციების უფაქიზეს ნიუანსებში წვდომისა და დიდი სულიერი თანაზიარობის შედეგია...

„რაინერ მარია რილკეს (1975-1926) ლექსების თარგმნას საქართველოში უკვე იმხელა ტრადიცია აქვს, რომ რაიმე ახლის გაკეთება ამ მიმართულებით დიდ სითამამესა და ნიჭიერებას თავისთავად ითხოვს.

ამ რამდენიმე წლის წინათ „ კავკასიური სახლის" მიერ გამოცემულმა მისმა ხუთტომეულმა, ფაქტობრივად, თავი მოუყარა ყველაფერს, რაც იყო, რომ რილკეს ქართული ხუთტომეული გამოსაცემად სწორედ მისმა ალბათ ყველაზე დიდმა მთარგმნელმა და მცოდნემ, მწერალმა ნაირა გელაშვილმა მოამზადა, რომელმაც მანამდე წარმოუდგენელი ამაგი დასდო ამ უცნაური ავსტრიელის ქართულ სივრცეში პოპულარიზაციას და მისი შემოქმედების აქტიურ ათვისებას: გარდა იმისა, რომ თვითონვე ბრწყინვალედ თარგმნა რილკეს ლექსები და რომანი „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები", მისი პირადი მომოწერა თუ კიდევ სხვადასხვა ყაიდის კიდევ არაერთი ნიმუში, ნაირა გელაშვილივე ხელმძღვანელობდა გასული საუკუნის 80-ია წლებში რილკეს შემოქმედებით ჯგუფს და გერმანულის საფუძვლიანად მცოდნე რამდენიმე ადამიანის გარდა, ძირითადად, მისივე მომზადებული პწკარედის მიხედვით თარგმნეს მაშინ რილკე იმ პერიოდის საუკეთესო პოეტებმა და მთარგმნელებმა.

ყველა ამ ადამიანის მცდელობა უაღრესად პატივსაცემია, მაგრამ პირადად მე მაინც ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანებს გამოვყოფდი, რადგან ჩემი აზრით, სწორედ ამ თარგმანებში გამოჩნდა ყველაზე მკაფიოდ რილკეს პოეტური თავისებურებების ქართულად გადმოღების მთელი სპეციფიკა, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების მთელი ის არსენალი, რაც უკვე ერთგვარი შემოქმედებითი მატრიცის ფუნქციას შეასრულებდა, რომლის თარგზეც შესაძლებელი გახდებოდა მოჭრილიყო კიდევ არაერთი მშვენიერი თარგმანი. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ გერმანულის სათანადოდ მცოდნე ადამიანები გამოჩნდებოდნენ, ისე, რომ ეს ადამიანები თან პოეტური ნიჭითაც ყოფილიყვნენ დაჯილდოებულნი.

და აი, გამოჩნდა ირმა შიოლაშვილიც, რომელმაც ამ კრებულით, როგორც რილკეს მთარგმნელმა, ვფიქრობ, შთამბეჭდავი განაცხადი გააკეთა.

ეს ამბავი მე სრულებითაც არ გამკვირვებია, რადგან ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ვიცნობ ირმა შიოლაშვილის მრავალმხრივ საყურადღებო ორიგინალურ შემქმედებას, მის ქართულ ლექსებს და, რაც მთავარია, მის უაღრესად ფაზიქ და პოეტურ ბუნებას.

ირმა უკვე მრავალი წელია გერმანიაში ცხოვრობს, იქ მიიღო განათლება და დაიცვა სადოქტრო დისერტაციაც. გერმანული მისი მეორე „მშობლიური" ენაა და ამ ენაზე, ამ ენის წიაღში უამრავი საქმე გაუკეთებია, ოღონდ რამდენდაც ვიცი, არასოდეს უწერია ლექსები გერმანულად. პოეზიისათვის მას მხოლოდ მშობლიური და შეუცვლელი ქართული აქვს და აი, ამდენი ხნის შემდეგ, გერმანული და ქართულ ენების პოეტური გადაკვეთა მისთვის მხოლოდ რილკეს შემოქმედების, რილკეს პოეზიის ემოციური და ინტელექტუალური გააზრებისას მოხდა.

ეს პატარა კრებული დიდი ცოდნის, გერმანული და ქართული პოეტური ტრადიციების უფაქიზეს ნიუანსებში წვდომისა და დიდი სულიერი თანაზიარობის შედეგია.

ირმა შიოლაშვილი, როგორც რილკეს მთარგმნელი, რჩება ქართული ქართული მთარგმნელობითი სკოლის საუკეთესო ტრადიციებისა და სტილისტიკის (პირობითად - ნაირა გელაშვილისა და ვახუშტი კოტეტიშვილის ხაზის) ერთგულ მიმდევრად, მაგრამ არა - ეპიგონად"- წერს წიგნის წინასიტყვაობაში გიორგი ლობჟანიძე.

როგორც მთარგმნელმა აღნიშნა, ***„ჩემი პირველი შეხვედრა რილკესთან საკმაოდ ადრე, ახალგაზრდა ასაკში ,,მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები"-თ შედგა. მაშინ შევიყვარე ეს უნიჭიერესი შემოქმედი. შემდეგ სასწავლებლად წავედი გერმანიაში და აქ ღრმად შევისწავლე გერმანული ენა, გერმანული კულტურა. ორი წლის წინ ამ გენიალური პოეტის რამდენიმე ლექსი ვთარგმნე. რამდენიმე ლექსი ორი წლის მანძილზე 50 ლექსად იქცა. ვთარგმნიდი ამ გენიალურ პოეტს, ვცდილობდი ჩავსულიყავი მისი პოეზიის სიღრმეებამდე და სწორად ჩავწვდომოდი მის რელიგიურ თუ კულტუროლოგიურ თავისებურებებს. მიმაჩნია,რომ ასეთი დიდი და ღრმა პოეტის თარგმნა დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომ ვცდილობდი, მაქსიმალურად ახლოს დავრჩენილიყავი დედანთან და თანაც ლაღი ქართულით გადმომეტანა მშობლიურ ენაზე რილკეს პოეტური სიღრმე და სახეები*** ".



წიგნის შესახებ ისაუბრა გამომცემლობა „პალიტრა L"-ისა და კრებულის რედაქტორმა მაია ალუდაურმა.

მთრაგმნელმა ირმა შიოლაშვილმა და საღამოს წამყვანმა, პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლობჟანიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს რილკეს ახალი თარგმანები. რამდენიმე ლექსი ორიგინალში წაიკითხა ირმა შიოლაშვილმა.

„ირმა შიოლაშვილს შესანიშნავად აქვს გააზრებული და ათვისებული ამ ტრადიციების ყველა მიღწევა, მაგრამ იმდენ თავის, საკუთარ მიგნებას გვთავაზობს, ისე ფრთხილად ამოაქვს ზედაპირზე ორიგინალის არაერთი სიღრმისეული თავისებურება, რომ რილკეს ის ლექსებიც კი, რაც ქართველი მკითხველისათვის სხვადასხვა და ხშირად გენიალური მთარგმნელების წყალობით, უკვე კარგად ცნობილია, ამ თარგმანებით რაღაცით განსხვავებულად და ახლებურად იკითხება.

ამიტომაც მგონია, რომ რილკეს ეს 50 ლექსი დიდი საჩუქარია პოეზიის ქართველი მკითხველისთვის"- აღნიშნა საღამოს წამყვანმა.

ახალგაზრდული ფორუმი კახეთში



გურჯაანში, საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა. ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდები მთელი საქართველოდან და ევროპის შვიდი ქვეყნიდან. ფორუმის მონაწილე ახალგაზრდებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და წარმატებები უსურვეს - კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა, პარლამენტის წევრმა, დავით სონღულაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, ლერი გელენავამ.

ჟიურიმ საუკეთესო ქართველ სპიკერად დეა ვეფხვაძე დაასახელა. საუკეთესო ევროპელი სპიკერი კი ლიეტუვას წარმომადგენელი - აუსტეია მიკნევიჩიუტე გახდა.

პროექტი პარლამენტის წევრის, დავით სონღულაშვილის ინიციატივით წელს პირველად გაიმართა და მას ყოველწლიური სახე მიეცემა. ფორუმის მიზანია ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა, ქართველი და ევროპელი ახალგაზრდების დაახლოება და გამოცდილების გაზიარება.

დავით სონღულაშვილი *(პარლამენტის წევრი)*: „ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება გამოვიდა, მოგეხსენებათ, 200 ახალგაზრდა მონაწილეობდა მასში. ასევე გვსტუმრობდნენ გურჯაანთან დამეგობრებული უცხო ქვეყნების სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები. ეს კომპონენტი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ქართველ თანატოლებთან მათ კავშირები დაამყარონ და მათ შორის ურთიერთობები გაგრძელდეს. მონაწილეები ჩამოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც“.

„შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროდან ფორუმში 12 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ჩვენ მათი შთაბეჭდილებებით დავინტერესდით და რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.

გიორგი გიჩელაშვილი: „ფორუმში მონაწილეობა გადავწყვიტე, რადგან ამის შესახებ მაცნობა ჩემმა კლასის დამრიგებელმა რუსუდან კორკოტაშვილმა. დამაინტერესა და სურვილი გამიჩნდა დავრეგისტრირებულიყავი. საბედნიეროდ, ერთ-ერთი იღბლიანი აღმოვჩნდი და მე შემარჩიეს. რა თქმა უნდა გამიხარდა და ერთი მშვენიერი დღე გავატარე. ჩატარდა საინტერესო ფორუმი. სპიკერებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები. ფორუმმა მომცა უცხო ადამიანებთან დებატებში შესვლის, ურთიერთობის დამყარების, შესაძლებლობა და ა.შ. ასევე შემეცნებითი ინფორმაცია სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით. იმედი მაქვს, აქ შეძენილ ცოდნას კარგად გამოვიყენებ და ცხოვრებაში გამომადგება. ძირითადად სამხედრო სფეროში მინდა ვიმსახურო და სამშობლოს საყრდენი ვიყო, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც ვცდილობ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ვიყო და ასეთ პროექტებში ჩავერთო ხოლმე. იარაღი და სამხედრო საქმე ძალიან მიყვარს, უკვე გადაწყვეტილი მაქვს სად ვისწავლი.“.

გიორგი ხუციშვილი: „რამდენიმე კვირის წინ, როცა ჩემი მეგობარის რჩევით საერთაშორისო ახალგაზრდულ ფორუმზე დასასწრებად ფორმა შევავსე, დიდი იმედი არ მქონდა, რომ პროექტის ორგანიზატორები შესაძლებლობას მომცემდნენ, მეც მიმეღო მონაწილეობა ასეთ მნიშვნელოვან ფორუმში. ასაკობრივი ზღვარის და ძალიან დიდი კონკურენციის გამო უიმედოდ ვიყავი. როდესაც პირველად დამიკავშირდნენ ძალიან გამიკვირდა, რადგან შესარჩევ კონკურსში ძალიან დიდი გამოცდილების მქონე ნიჭიერი სტუდენტებიც იყვნენ ჩართულნი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელთა ნაწილიც სამწუხაროდ ვერ მოხვდა ფორუმზე. გაკვირვების შემდეგ იყო სიხარული, ვინაიდან, ეს ფორუმი თავისი მნიშვნელობით ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის. პირველ რიგში იმიტომ, რომ აქ თავს იყრიდნენ დასავლური ღირებულებების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა პატრიოტიზმმა და ახლის კეთების სურვილმა ძალიან დიდი მოტივაცია მომცა. ასევე ორგანიზატორების და პირველ რიგში მაჟორიტარის, ბატონი დავით სონღულაშვილის დამსახურებით, აქ იყვნენ ევროკავშირის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც ქართველ სპიკერებთან ერთად გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება.

პირადად ჩემთვის, მსგავსი გამოცდილება და გამოწვევები ჩემი სამომავლო პროფესიიდან გამომდინარე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან დიპლომატიას და საერთაშორისო ურთიერთობებს უკავშირდება. მსგავსი ღონისძიებები პირველ რიგში ქმნის ახალ კონტაქტებს და შესაძლებლობას მაძლევს გავიცნო უამრავი ნიჭიერი ადამიანი, რომლებიც ხვალ საქართველოს და მსოფლიოს წამყვანი სფეროების პროფესიონელები გახდებიან. ამ საერთაშორისო ფორუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგიც სწორედ ახალი კონტაქტების შექმნა იყო. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორუმზე მრგვალი მაგიდის ფორმატის ჯგუფური სამუშაო სივრცეები იყო შექმნილი საიდანაც აგრეთვე ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ.“

ილია მარტყოფლიშვილი

ირაკლი ქადაგიშვილი – ჩინეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კარგად არის გაცნობიერებული, საით მიდის საქართველოს გეოპოლიტიკური მისწრაფება

მნიშვნელოვანი შედეგია, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა სტრატეგიული ურთიერთობის ხასიათს იღებს, ეკონომიკური ურთიერთობები გაიზრდება, ეს მოიცავს ასევე ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროში თანამშრომლობას - პოლიტიკური სივრცე არის ყველაზე მთავარი , - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა პრემიერ-მინისტრის ჩინეთში ვიზიტის კომენტირებისას განაცხადა.

მისივე თქმით, ჩინეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ გაცნობიერებული აქვს საქართველოს საგარეო მისწრაფება, რაც ხელს არ უშლის ჩინეთსა და საქართველოს შორის მაღალი დონის თანამშრომლობას.

“ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია და მისი მთავარი შედეგია, რომ საქართველო- ჩინეთის ურთიერთობა სტრატეგიული ურთიერთობის ხასიათს იღებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მთავარი მიმართულებით, რაც ჩვენ ჩინეთთან გვაკავშირებს, ეს არის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, მნიშვნელოვნად გაიზრდება ჩინეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა, ეს მოიცავს მათ შორის ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროში თანამშრომლობას. ჩინეთი ერთი-ერთი წამყვანი ეკონომიკური სახელმწიფოა და მასთან ვაჭრობის ყველაზე დიდი წილი აქვს აშშ-ს და ევროკავშირს, გამომდინარე აქედან ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველო რომელიც დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის შუა დერეფნის ერთი ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, ჩინეთთან გაღრმავებული სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია”, - განაცხადა ქადაგიშვილმა.

კითხვაზე, ეკონომიკური ურთიერთობის გარდა, რას მოიცავს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა და სად არის ის სივრცეები, სადაც შეიძლება საქართველო ჩინეთს დაუახლოვდეს პოლიტიკურად, ქადაგიშვილი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური სივრცე არის ყველაზე მთავარი მათ შორის ჩინეთთან ურთიერთობაში,

ამ კონტექსტში ქადაგიშვილი საუბრობს დეოკუპაციაზე და ამ მიმართულებით აქტიური მხარდაჭერის მოლოდინზე.

“პოლიტიკური სივრცე არის ყველაზე მთავარი, რაც ჩვენთვის არის ხოლმე ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს არის საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს არის ყველაზე მთავარი პოლიტიკური სივრცე, რაც შეიძლება ჩინეთთან და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან შეიძლება გაგაჩნდეს.

იქ ჩინეთის პრეზიდენტმა აღნიშნა კიდეც, რომ მისთვის კარგად არის ცნობილი და გაცნობიერებული საქართველოს გეოპოლიტიკური მისწრაფება საით არის, ანუ ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანება, რაც ხელს არ უშლის ჩინეთსა და საქართველოს შორის ასეთი მაღალი დონის თანამშრომლობას.

რაც უფრო მეტი სახელმწიფო იქნება აქტიური მხარდამჭერი ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციისა, მით უმეტეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახელმწიფოები, ეს არის სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩინეთისგან ამის იმედი გვაქვს, რა თქმა უნდა, ეს განცხადება შეხვედრის დროს ძალიან მკაფიოდ იქნა გაჟღერებული”, - განაცხადა ქადაგიშვილმა.

გაერო – 2023 წლის ივლისი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცხელი თვეა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის ივლისი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცხელი თვეა. გაეროს დაქვემდებარებაში მყოფი მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ამ დრომდე მიიჩნეოდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცხელი თვე 2019 წლის ივლისი იყო, თუმცა მიმდინარე წლის ივლისი წინა რეკორდზე 0.2 გრადუს ცელსიუსით მეტი იქნება. ორგანიზაციის მტკიცებით, 1900-იანი წლების შემდეგ პლანეტაზე გლობალური ტემპერატურა 1.5 გრადუს ცელსიუსით არის გაზრდილი. მათი თქმით, ტემპერატურის მატება კლიმატური კატასტროფების რაოდენობას მკვეთრად ზრდის.



„დებატები უკეთესი განათლებისთვის“

მასწავლებელთა დაჯილდოვება გურჯაანში. ცერემონია სასკოლო პროექტის „დებატები უკეთესი განათლებისთვის“ ფარგლებში გაიმართა. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, დედოფლისწყაროდან დაჯილდოვდა მხოლოდ სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის მასწავლებელი ჯუნა ნატროშვილი.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მაკა ჯანაშვილი განმარტავს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან სხვა სკოლებიც მონაწილეობდნენ, თუმცა ბოლო ეტაპამდე არბოშიკის სკოლა მივიდა.

მაკა ჯანაშვილი: „ჩვენი მუნიციპალიტეტიდან რამოდენიმე სკოლა იყო ჩართული, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ არბოშიკის სკოლაა ჩართული. თუ არ ვცდები, დაახლოებით სამი წლის წინ ჩაერთვნენ. ერთი ეტაპი დასრულდა და მათი სურვილით მეორე ეტაპზე მხოლოდ არბოშიკის სკოლა გადაიყვანეს. სამომავლოდ, იგეგმება სხვა სკოლების ჩართვაც, მაგრამ როდის ჩართავენ დანარჩენ სკოლებს ვერ გეტყვით. შეხვედრა, რასაც ჩვენ ვესწრებოდით, შემაჯამებელი ხასიათის იყო. ამ პროექტში ჩართული მასწავლებლები სერტიფიკატებით დაჯილდოვეს. დაჯილდოვდა არბოშიკის საჯარო სკოლის მასწავლებელი ჯუნა ნატროშვილი. რაც შეეხება კლუბში ჩართვის სურვილს, ჩემი აზრით, ყველა სკოლა უნდა იყოს ჩართული, რადგან საინტერესო ფორმატით და მეთოდიკით მიმდინარეობს სწავლება.“

პროექტის მიზანია დებატების ტექნიკის სწავლების გზით ახალგაზრდებში ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, როგორიცაა: კონსტრუქციული მსჯელობა, არგუმენტაცია, მასალების მოძიება, ორატორობა, გუნდურობა, დროის მართვა, ოპონენტის პატივისცემა და სხვა“.

ჯუნა ნატროშვილი: „თანამედროვე სწავლება ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ, საგანმანათლებლო კონცეფციას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ეძლევათ შემოქმედებითი უნარების გამოხატვის თავისუფლება. სწორედ ამით არის ორიგინალური და განსაკუთრებული არაფორმალური განათლება, კერძოდ კი დებატების კლუბი.

კლუბის მიზანია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის და სიტყვით გამოსვლის უნარ ჩვევების განვითარება. ისინი ეჩვევიან მასალის სწორად მოძიებისა და დამუშავების უნარებს. აგრეთვე ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვისი აზრის დაფასება, შეფასებას. პროექტში უკვე ორი წელია რაც ჩართულები ვართ. დებატების კლუბში მუშაობა მოსწავლეს მხოლოდ იზოლირებულ ცოდნასა და უნარებს კი არ აძლევს, არამედ მთელ სასწავლო პროცესზე დადებითად აისახება. სხვადასხვა დისციპლინებში გადააქვს კლუბში შეძენილი უნარები, რაც მომავალში მოსწავლის წარმატების გარანტი ხდება. ეს პროექტი მნიშვნელოვანია ჩემთვისაც, როგორც მასწავლებლისთვის. საინტერესო კუთხით დავინახე საკუთარი თავი და შესაძლებლოებები. დებატების კლუბში მუშაობით შეძენილ უნარებს აქტიურად ვიყენებ ჩემს საგანში, ინგლისურ ენაში, რაც უფრო სახალისოს ხდის სწავლების პროცესს.

პროექტის „დებატები უკეთესი განათლებისთვის“ პარტნიორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ხორციელდება გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მხარდაჭერითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით“.

დებატების პროექტი სექტემბრიდან კიდევ გაგრძელდება და სხვა სკოლებიც ჩაერთვება.

ილია მარტყოფლიშვილი
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

კლიმატის ახალგაზრდა ელჩები საზაფხულო „მწვანე ბანაკში“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას განაგრძობს. ამჯერად ბაკურიანში მოეწყო ახალგაზრდული „მწვანე ბანაკი“, სადაც სპეციალურად შერჩეული ახალგაზრდები გაემგზავრნენ და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩაერთვნენ. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, კლიმატის ახალგაზრდა ელჩი გახდა დედოფლისწყაროდან სამრეკლოს მკვიდრი ანი ბოსტოღანაშვილიც, რომელსაც შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

ანი ბოსტოღანაშვილი: „ძალიან მაინტერესებდა ეს საკითხი და ამიტომაც გამიჩნდა სურვილი მეც ჩავრთულიყავი. მოხალისეობის მსურველთა მონაცემები შევავსე, გავიარე გასაუბრება და სემინარებზე დასწრებისა და ჩემს მიერ ჩატარებული შეხვედრების შედეგად ორგანიზატორებმა შემარჩიეს, რის შემდეგაც მონაწილეთა შორის მოვხვდი. ასე გავხდი კლიმატის ელჩი და ერთი კვირის განმავლობაში ბაკურიანში ვიმყოფებოდი. ბევრ თემას ვეხებოდით გარემოსდაცვით თემებსა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო თემაა ნარჩენების მართვის საკითხი. ბანაკის დასრულების შემდეგ ვგეგმავ აქ მიღებული გამოცდილება ჩემს სოფელში გამოვიყენო და დაგროვილი ცოდნა სოფელ სამრეკლოში გავავრცელო. ვაპირებ ჩემს თემში განვახორციელო სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც სასარგებლო იქნება, ვეცდები ჩემი წვლილი შევიტანო პრობლემების გადაჭრაში. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები გარემოსდაცვითი თემებით დაინტერესდნენ, მაგრამ ამისათვის საჭიროა მათ ჰქონდეთ მოტივაცია და მეტი ცნობიერება ამ საკითხების ირგვლივ. ეს ინფორმაცია კი მათ უნდა მიიღონ მეგობრებისა და გარშემომყოფებისგან. ცნობილია, რომ ყველაზე მეტად გაუდაბნოების პრობლემა სწორედ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შეინიშნება, რაც უარყოფითად აისახება სოფლის მეურნეობის დარგებზე. რომ შეხება და ინფორმაცია ჰქონდეთ გარემოსდაცვითი პრობლემებისა და საკითხების ირგვლივ. რაც მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება ასეთ აქტივობებში, მით უკეთესი იქნება.“

პროგრამის „კლიმატის ახალგაზრდა მოხალისეები“ წარმატებული კურსდამთავრებულები, სასწავლო ვიზიტით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებსაც ესტუმრნენ. გარემოს ეროვნულ სააგენტოში მოხალისეებმა, დარგის სპეციალისტებთან ერთად, შესაძლო სტიქიურ მოვლენებზე საპროგნოზო ინფორმაციის მომზადების და შესაბამისი უწყებებისთვის დროული მიწოდების საკითხები განიხილეს; ამავდროულად, ქვეყანაში არსებული მეტეოროლოგიური რადარების მონაცემების ანალიზის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს; გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიაში, კურსდამთავრებულები წყლისა და მიწის კვლევის პროცესებს გაეცნენ, ხოლო ღვინის ეროვნულ სააგენტოში მქონდეს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან შეხვედრისა და მათთან საუბრის შესაძლებლობა, აუცილებლად ვეტყოდი პასუხისმგებელ პირებს, რომ მაქსიმალურად მეტი ახალგაზრდა ჩართონ ამ პროცესებში და მისცენ შესაძლებლობა, რომ მეტი ინფორმაცია მოისმინეს ქართული ღვინის ისტორიის და საერთაშორისო ბაზრებზე ქართულ ღვინოზე არსებული მოთხოვნების შესახებ.

პროგრამის შემაჯამებელი ღონისძიების ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრშიც, სადაც ახალგაზრდებმა ნარჩენების მართვისა და მდგრადი წარმოების შესახებ ლექცია მოისმინეს.

როგორც პროქტის ორგანიზატორებმა „შირაქს“ აცნობეს, ახალგაზრდა მოხალისეთა ქსელი აერთიანებს 15-17 წლის ახალგაზრდებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო აქტივობებში მათ აქტიურ ჩართულობას.

პროგრამა „კლიმატის ახალგაზრდა მოხალისეები“ ხორციელდება პროგრამის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში. პროგრამა დაფინანსებულია საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (**GCF**), შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების მიერ და ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**) მხარდაჭერით.

ილია მარტყოფლიშვილი

ახალი დეტალები და დაკავებულები გიორგი ალხანიშვილის საქმეში

ზემო მაჩხაანელი 20 წლის გიორგი ალხანიშვილის მკვლელობის საქმეზე დაკავებულთა რიცხვი გასულ კვირას 4-დან 7-მდე გაიზარდა. 16 ივლისს მთავარი დამნაშავის დაკავება ლონდონში მოხერხდა, მას უვადო პატიმრობა ელის. ამის შესახებ „შირაქი“ წინა ნომერშიც წერდა, თუმცა პროკურატურამ მისი დაკავება მხოლოდ ახლა დაადასტურა და შესაბამისი განცხადება გაავრცელა. როგორც პროკურორი ირაკლი ჩილინგარაშვილი ამბობს, მიმდინარეობს პროცედურები გაქცეულის სამშობლოში დასაბრუნებლად. ასევე ბრალი წარუდგინეს და დამნაშავედ ცნეს ქობულეთში, კინტრიშის ხეობის ცხემვანის მონასტრის მოძღარი, მამა იობი, (ერისკაცობაში გელა ბაჟუნაიშვილი) რომელიც ბაჟუნაიშვილის ბიძაა. ამჯერად გახმაურებული საქმის ახალ დეტალებზე გიამბობთ.

„შირაქი“ უკვე წერდა, რომ სუფრის სამი წევრი თავდაპირველად, გვამის აღმოჩენისთანავე დააკავეს. ერთს ცხედარის მიმალვასა და დამარხვაში დახმარება ედება ბრალად, დანარჩენ ორ ახალგაზრდას კი პოლიციისთვის დანაშაულის შეუტყობინებლობა. მთავარი დამნაშავე, ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი, რომელიც მოკლულის კლასელია, პოლიციაში ინფორმაციის შესვლამდე ერთი დღით ადრე ლონდონში დაბრუნდა. კონფლიქტში მონაწილე პირების დაკავებიდან ერთ კვირაში ოჯახის მასპინძელი, დამნაშავის მამა, გიორგი ბაჟუნაიშვილი დააკავეს. ის მოწმეებზე ზეწოლას ახდენდა და აიძულებდა, სიმართლე არავისთვის ეთქვათ. მალევე მამის კიდევ ორი ძმა დააკავეს.

გელა ბაჟუნაიშვილს, იგივე მამა იობს, ბრალი რამდენიმე დღის წინ წარუდგინეს — სასულიერო პირს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ლევან ყოლბაიამ გირაო შეუფარდა. ის სასამართლო დარბაზიდან 15 ათასი ლარი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. სასულიერო პირს თავის ძმასთან ერთად წარუდგინეს ბრალი. დანარჩენი ხუთი პირი პატიმრობაში რჩება. ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი კი საიმიგრაციო პატიმრობაშია და საქართველოში ექსტრადირება ელის.

პასუხისგებაში მიცემულ სასულიერო პირს რამდენიმე დღის განმავლობაში მომხდარზე კომენტარის გაკეთება არ სურდა. არადა ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა

ძმისშვილს გვამის დამალვის დროს ისიც ეხმარებოდა, შემდეგ კი მისგან აღსარება ჩაიბარა.

„მე რაზეც საჭირო იყო, 500-ჯერ ხელი მოვაწერე და ჩემს საქმეზე თქვენ რა შუაში ხართ? მაგი გადაწყვიტა სასამართლომ და პროკურატურამ, შენ ვერ ერკვევი ვერაფერში და ჯობია, თქვენს საქმეს მიხედოთ. ამოდი და დამელაპარაკე, თუ რამე გაინტერესებს, გავიცნოთ ერთმანეთი, არასერიოზულ და არაპროფესიონალ შეკითხვებს მისვამთ, თუ გინდა ამობრძანდი მონასტერში, მოილოცე, დავილაპარაკოთ ლოცვის შემდეგ, ვიტრაპეზოთ... მე და შენ ამ თემაზე ტელეფონში ვერ დავილაპარაკებთ,“ — უპასუხა გაზეთ „ბათუმელებს“ მამა იობიმ.

მოგვიანებით მამა იობმა კომენტარი ჟურნალისტებთან გააკეთა: „ისე ცუდად ვართ და იმდენად რთულ მდგომარეობაში ვართ, ჩვენ ვამბობთ, ნეტა ჩვენი ძმისშვილი გარდაცვლილიყო. ახლა ყველანი დაკავებულები ვართ, ყველა ვიხდით სასჯელს. ყველა დაისჯება, დამიჯერეთ და ყველა მოიხდის თავის დანაშაულზე. დაველოდოთ და დაისჯება ყველა“.

მოკლულის დედა, მარინა მაძღარაშვილი დარწმუნებულია, რომ დანაშაული ჯგუფურად იქნა ჩადენილი. ქალი, რომელსაც ქობულეთში სტუმრად ჩასული შვილი ჯერ მოუკლეს, შემდეგ კი ტყეში დაუმარხეს, დანაშაულში მონაწილე ყველა პირის უმკაცრესად დასჯას ითხოვს.

მარინა მაძღარაშვილი: „ესენი ერთმანეთს მიეხმარნენ, იმიტომ, რომ ჩემს შვილს ერთი ადამიანი ვერანაირად ვერ მოერეოდა. ეს არის ჯგუფურად მოკლული, 18 ჭრილობით მოკლული ბავშვი. სტუმრად წაყვანილი ბავშვი ასე უმოწყალოდ მოკლეს და მერე დამარხეს. ცდილობდნენ, რომ მერე ჩემი შვილი ან მდინარეში გადაეგდოთ, ან დაებეტენობენინათ.

მამა იობი ამბობს მე აღსარება ჩავიბარეო. გასაგებია, მაგრამ შემთხვევის ადგილზე და მიცვალებულთან არავინ იბარებს, ჩემი აზრით, აღსარებას იბარებენ ეკლესიაში. ვითომც არაფერი მომხდარა, ჩაიბარა ერთი მკვლელის აღსარება და უნდა, რომ ეს შერჩეს. არადა, აღსარების დროს იცოდა ჩემი შვილის ცხედარი სად იყო, მე ამ დროს უჭმელი-უსმელი, გაუბედურებული, ერთი კვირა დავეძებდი ჩემს შვილს“.

მოკლული ბიჭის დედა ასახელებს ახალგაზრდა ქალბატონს, ელენე დოლიძეს, რომელმაც, მისი თქმით, ბევრი იცის ჩადენილი დანაშაულის შესახებ და ხელს აფარებდა მთავარ დამნაშავეს. დედა ამბობს, რომ ახვლედიანმა დანაშაული ჩამდენი პირის ადგილსამყოფელის შესახებაც იცოდა.

„ერთი ჩვენება რომ წავიკითხე, მთელი სამი დღის განმავლობაში ვეღარ ავდექი საწოლიდან. ვფიქრობ, რომ ელენე დოლიძემ ყველაფერი იცოდა ამ ამბავთან დაკავშირებით და მერე შეყვარებული თურქეთშიც კი გადააცილა, იქ 3-4 დღე სასტუმროში დარჩნენ. მას შემდეგ წავიდა ბაჟუნაიშვილი ინგლისში, თურქეთის გავლით და ამაში, ყველაფერში გვერდით ახლდა დოლიძე.

ამ ჯგუფური მკვლელობის შემდეგ, ყველანი მონაწილეობდნენ, ჩაიყვანეს მამამისი, რომ დანარჩენი ყველაფერი იმ მამამისს გაეკეთებინა და იმ მამამისმა კიდევ დაიხმარა თავისი ოჯახის წევრები – მამაო, სასულიერო პირი და მეორე ძმა. სასულიერო პირმა ბრძანა, მე აღსარება ჩამაბარაო და უნდა, რომ შერჩეს ამხელა დანაშაული. აღსარების ჩაბარება მესმის მე ეკლესიაში და არა მიცვალებულთან, რომელიც წამებით და უბედურებით მოკლეს. 15 000 ლარიანი გირაოთი რომ გაათავისუფლეს, 15 000 ლარი იხსნის საზიზღარ საქციელს ღმერთის სამსჯავროსგან? ასევე პასუხისგებაში არ მიუციათ ელენე დოლიძე. მაგანაც ყველაფერი იცოდა, იმიტომ, რომ მან გადააცილა თურქეთის საზღვრამდე და მაგასთან იყო ის. იქ არაფერი არ ეცოდინებოდა და ვერაფერ ვერ გაიგებდა ელენე?! ყველამ ვინც კი მანდ იყო, საერთოდ ყველამ ყველაფერი იცოდა”. – ამბობს დედა.

სასამართლოში გიორგი ალხანიშვილის საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა. მაჩხაანელი ბიჭის საქმეზე 18 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული სხდომა 23 აგვისტოსთვის გადაიდო. მიზეზი ექსპერტიზის პასუხის დაგვიანებაა. გამოძიებას ჯერ კიდევ არ აქვს ექსპერტიზის საბოლოო დასკვნა, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემს მომხდარის დეტალებზე იმსჯელოს. სწორედ ეს გახდა სხდომის გადადების მიზეზი. ექსპერტიზამ მთავარ კითხვას უნდა გასცეს პასუხი – მკვლელობა ჯგუფურად ჩაიდინეს, თუ 20 წლის* **გიორგი ალხანიშვილი** *მხოლოდ მასპინძელმა მოკლა.

მიმდინარე წლის 16 მაისს ზემო მაჩხაანიდან ბათუმში, დედასთან სტუმრად ჩასული 20 წლის გიორგი ალხანიშვილი საქეიფოდ ქობულეთის სოფელ ლეღვაში წავიდა. დილით ოჯახს შეატყობინეს, რომ მათი შვილი ტაქსით გააცილეს და ადგილსამყოფელი არ იცოდნენ. 26 მაისს მეზობელ სოფელში ტყესთან ახლოს ბიჭის ცხედარს ძაღლებმა მიაგნეს. ამ ხნის მანძილზე სუფრაზე მყოფი პირები ოჯახს არწმუნებდნენ, რომ გიორგი სახლში წავიდა. საქმეში პოლიციის ჩართვამდე მასპინძელი ოჯახის წევრი, რომელიც მკვლელობის მთავარი ეჭვმიტანილია, საზღარგარეთ გაიპარა. ის ბოლო ხანს სასწავლებლად ბრიტანეთში იმყოფებოდა და სამშობლოში რამდენიმე დღით იყო ჩამოსული. მალევე პოლიციამ სამი პირი დააკავა. სამიდან ერთს, დამნაშავის დახმარება ედება ბრალად, **ალექსანდრე ახვლედიანი ალექსანდრე ბაჟუნაიშვილს** ავტომანქანის საბარგულით ცხედარის გადატანასა და დამარხვაში ეხმარებოდა, ხოლო ორ პირს **დავით მენაბდესა** და **ლუკა ჯიბლაძეს** პროკურატურამ ბრალი დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის წაუყენა. თუმცა, დაკავებულებმა თქვეს, რომ ოჯახის წევრი ემუქრებოდათ და შიშის გამო დამალეს მომხდარი. ამ ბრალდების გამო რამდენიმე დღეში გაქცეული ბაჟუნაიშვილის მამა გიორგი ბაჟუნაიშვილიც დააკავეს.

ილია მარტყოფლიშვილი

პროკურატურის განცხადება

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, 2023 წლის 18 მაისს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული გაერთიანებულ სამეფოში დააკავეს.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გაერთიანებული სამეფოს კომპეტენტურ უწყებას ბრალდებულის ექსტრადიციის შუამდგომლობით 2023 წლის 14 ივნისს მიმართა და შესაბამისი მასალები მიაწოდა. პროკურატურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და გაერთიანებული სამეფოს შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად, **ვესტმინსტერის მაგისტრატი მოსამართლის ბრძანების საფუძველზე დანაშაულის ჩამდენი პირი 2023 წლის 16 ივლისს სკოტლანდ იარდმა დააკავა და მას საექსტრადიციო პატიმრობა შეეფარდა.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2023 წლის 18 მაისს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანით სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა დაზარალებულს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. აღნიშნულის შემდგომ ბრალდებულმა თანმხლებ პირებთან ერთად გვამი დაუსახლებელ ადგილას დამარხა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაუსწრებლად წარედგინა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

ამჟამად მიმდინარეობს საექსტრადიციო პროცედურები. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გატარდება ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ბრალდებულის საქართველოში ექსტრადიცია განხორციელდეს. ამავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულია კიდევ 6 პირი: ოთხი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე; ერთი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის ფაქტზე; ერთი, გამოსაკითხ პირზე განხორციელებული ზემოქმედების ფაქტზე.

გველების მბრძანებელი ქვემო ქედიდან

ყველაფერი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, როცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში მცხოვრებ* ბორის მამუკაშვილს *ბალტიისპირელმა ექიმმა გიურზას შხამზე მუშაობის იდეა მიაწოდა. ბორისი მაშინ სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული და ასეთი საშიში საქმიანობა აზრადაც არ მოსვლია.

„კარგა ხანს ვიფიქრე, ეს ფაქტობრივად, სიკვდილთან თამაში იყო. გიურზა ძალიან საშიში ქვეწარმავალია, მომაკვდინებელი შხამი აქვს.

მერე ვიფიქრე, რაც იქნება, იქნება-მეთქი და სადღაც, სოფლის ბოლოში დავიჭირე. რასაკვირველია, მეშინოდა. ამ შიშის დასაძლევად დრო დამჭირდა“, -ამბობს ბორის მამუკაშვილი.

საშიშმა საქმიანობამ და იმან, რომ სოფელ ქვემო ქედში მამაკაცი გიურზებს შიშველი ხელით იჭერდა და შხამს აცლიდა, უამრავი ადამიანი, მათ შორის უცხოელებიც დააინტერესა.

„ძალიან ბევრი ხალხი მაკითხავდა. გიურზები ეზოში კარგად დაცულ გალიაში მყავდა. **ყველას თვალწინ გამომყავდა გალიიდან და შხამს ვაცლიდი. იღებდნენ ფოტოებს, ვიდეოს და მიჰქონდათ. ვისთვის სანახაობა იყო და ვისთვის სიცოცხლის რისკი**“, - ჰყვება გიურზების დამჭერი.

ფინანსურად მომგებიანი საქმე სიცოცხლისათვის მართლაც საშიში და სარისკო იყო, თუმცა, ბორის მამუკაშვილი შიშველი ხელით გიურზებთან ბრძოლას რვა წლის განმავლობაში მაინც აგრძელებდა.

„სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დავდიოდი, მაგრამ აზარტიც არის. ხომ მაგარია, ხელით ასეთ საშიშ არსებას რომ იმორჩილებ. თავიდან გეწინააღმდეგება და გებრძვის, მაგრამ ადამიანი მაინც ძლიერია. **ერთი გრამი შხამის ასაღებად, ათობით გიურზა მჭირდებოდა. შხამსაც შიშველი ხელებით ვუღებდი. ვაკბენინებდი სინჯარაზე, მერე აღებულ შხამს ვამუშავებდი და კობალტის ამპულაში ვათავსებდი. ამ ხნის განმავლობაში, ერთხელ მიკბინა მხოლოდ. ნაკბენი მაშინვე დავისერე და მოვიწვი. ახლა შემიძლია სხვასაც დავეხმარო, ასეთები ყოფილან კიდეც, დაკბენილისთვის დახმარებაც გამიწევია**“, — იხსენებს ბორისი.

რესპონდენტი ჰყვება, რომ წლების წინ, თბილისის ზოოპარკის ეგზოტარიუმის კურატორის, გურამ წიკლაურის თხოვნით, შირაქში ქვეწარმავალი დაიჭირა და თბილისის ზოოპარკს აჩუქა. მის მიერ ზოოპარკისთვის ნაჩუქარ გველს წლების მანძილზე ზოოპარკის სტუმრები ათვალიერებდნენ.

„როცა მთხოვეს, წავედით შირაქისკენ, უცებ დავიჭირე და ამ კაცს ვაჩუქე. ზოოპარკში წაიყვანა. მერე რამდენჯერმე ჩავაკითხე ჩემს გიურზას. მაინტერესებდა როგორ იყო, ეგზოტარიუმში მართლა კარგად უვლიდნენ.

2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიამდე, იქ იყო. მერე, არ ვიცი, რა დაემართა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გიურზები საინტერესო ქვეწარმავლები არიან, თან ძლიერებიც.

მათი ხასიათიდან გამომდინარე წლების მანძილზე დაკვირვების შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ **მაისში გამოდიან და შემოდგომაზე ბუდეში ჩადიან. თუ არ გააბრაზე, არ გერჩიან.** გინახავთ, კუდზე როგორ დგება? ეს საშიშია და თან საკმაოდ ამღელვებელი“, — ამბობს ბორის მამუკაშვილი.

გიურზების ცნობილი დამჭერი, ახლა 70 წლისაა. ქვეწარმავლებთან ჭიდილი შეწყვიტა, მაგრამ დიდი სურვილი აქვს, საკუთარი ცოდნა ვინმეს გადასცეს.

თვლის, რომ ეს საქმე, ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას ემსახურება, რადგან გველის შხამი მედიკამენტების საწარმოებლად უნიკალური საშუალებაა.

„ამით სიცოცხლის გადარჩენა შეიძლება. ჰემოფილიის სამკურნალო პრეპარატიც გიურზას შხამით მზადდება. დაინტერესებული ადამიანები მომიყვანეთ, გიურზების დამორჩილებას და მათზე გამარჯვებას ვასწავლი“,- ამბობს ის.

ხათუნა გულიაშვილი



მე-5 თაობის მობილური ინტერნეტის დასანერგად გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობას მხოლოდ „სელფი“ მიიღებს - ახალი ტექნოლოგია „მაგთისა“ და „სილქნეტის“ გარეშე დაინერგება

მე-5 თაობის მობილური ინტერნეტის, ე.წ. 5G-ის დასანერგად გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობას მხოლოდ Cellfie • სელფი მიიღებს.ამის შესახებ ინფორმაციას კომუნიკაციების ეროვნული კომისია ავრცელებს.

მათივე ცნობით, Comcom-მა აუქციონის პირობებთან დაკავშირებით კომპანია „მაგთიკომის“ და „სილქნეტის“ მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები სრულად გაითვალისწინა, თუმცა, არცერთმა მათგანმა აუქციონში მონაწილეობა არ მიიღო. საგულისხმოა, რომ სწორედ ეს ორი კომპანია ფლობს ტელეკომ ბაზრის 70%-ზე მეტს და ქვეყანაში ახალი ტექნოლოგია მათ გარეშე დაინერგება.

„კომუნიკაციების კომისიის მიერ მე-5 თაობის მობილური ინტერნეტის, ე.წ. 5G-ის დასანერგად გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობას მხოლოდ შპს „სელფი მობაილი“ მიიღებს. კომპანიამ განაცხადი ერთი კომბინირებული ლოტის, 2600 მჰც სიხშირულ დიაპაზონში ორი ლოტის და 1800 მჰც სიხშირულ დიაპაზონში ერთი ლოტის შეძენაზე გააკეთა. ComCom-მა 5G ტექნოლოგიის დასანერგად აუქციონი 4 კომბინირებულ ლოტზე გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციების კომისიამ აუქციონის პირობებთან დაკავშირებით კომპანია „მაგთიკომის“ და „სილქნეტის“ მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები სრულად გაითვალისწინა, არცერთმა მათგანმა აუქციონში მონაწილეობა არ მიიღო. საგულისხმოა, რომ სწორედ ეს ორი კომპანია ფლობს ტელეკომ ბაზრის 70%-ზე მეტს და ქვეყანაში ახალი ტექნოლოგია მათ გარეშე დაინერგება.

თავდაპირველად 5G ინტერნეტის დანერგვისთვის საჭირო სიხშირის მოსაპოვებლად კომპანიებს ოთხივე კომბინირებულ ლოტზე ჰქონდათ ვალდებულება, რომ საკუთარ ქსელზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი - MVNO დაეშვათ, რისთვისაც ისინი დამატებით ფასდაკლებებს მიიღებდნენ. ტელეკომ ოპერატორების, კერძოდ „მაგთიკომის“ და „სილქნეტის“ მოთხოვნა იყო, რომ ისინი აუქციონში მონაწილეობას იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ კომისია MVNO ვალდებულების და ფასდაკლების გარეშე, ერთ ლოტზე მაინც გამოაცხადებდა აუქციონს. სწორედ მათი მოსაზრებების გათვალისწინებით, იმისთვის, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა არ შეფერხებულიყო, კომუნიკაციების კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და ერთ კომბინირებულ და ორ ცალკე მდგომ ლოტზე აუქციონი მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების ვალდებულების გარეშე გამოაცხადა. მიუხედავად კომისიის გადაწყვეტილებისა, კომპანიებმა როგორც საჯარო სხდომაზე, ისე სამუშაო შეხვედრებზე გაცხადებული პირობა არ შეასრულეს და აუქციონში მონაწილეობა არ მიიღეს.

5G- ეს არის ახალი თაობის უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგია, რომელიც უკვე არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდის მობილური ინტერნეტის სიჩქარეს, შეამცირებს დაყოვნებას და საკომუნიკაციო სექტორთან ერთად, სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანს ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებს, როგორიცაა: ჯანდაცვა, განათლება, ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა და სხვა. რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკას გააძლიერებს.

შეგახსენებთ, რომ ტექნოლოგიების სწრაფი და ეფექტიანი განვითარებისთვის ევროკომისიამ 2020 წელს წევრ ქვეყნებს მისცა რეკომენდაცია, რომ Covid 19-ის პანდემიის დასრულების შემდეგ, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა და მობილური ქსელების განვითარების მიზნით, მიეღოთ ეფექტიანი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ 5ჩ-სთვის განკუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გაზრდას, ლიცენზიების დროულ გაცემას და ფინანსურ შეღავათებს. ComCom-მა გაიზიარა ევროკომისიის რეკომენდაცია და აუქციონის პირობები ამ რეკომენდაციების შესაბამისად შეიმუშავა.

5G ტექნოლოგიის დასანერგად კომუნიკაციების კომისიამ აქტიური სამუშაოები ჯერ კიდევ 2020 წელს დაიწყო. 5ჩ-ის დანერგვისთვის საჭირო პარამეტრები და პირობები კომუნიკაციების კომისიამ ევროკომისიის გადაწყვეტილებების და ევროპელი კოლეგა მარეგულირებლების გამოცდილების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სიხშირული რესურსის საწყისი საფასური საკონსულტაციო კომპანიების ე.წ. დიდ ოთხეულში შემავალ კომპანია „EY“-ის ექსპერტებთან ერთად დათვალა,”- აღნიშნულია კომისიის ინფორმაციაში.

ცნობისთვის, კომპანია „სელფის“ სახელით „ბილაინმა” ოპერირება მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყო. როგორც მენეჯმენტში განმარტავენ, „სელფი“ კომპანიის მიერ შექმნილი ქართული ბრენდია, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ ტელეკომ ინდუსტრიაში მოღვაწეობის მრავალი წლის გამოცდილებას, მნიშვნელოვან საერთაშორისო პრაქტიკას და ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებულ ისტორიას.

საპენსიო ინვესტირების წესი იცვლება

7 აგვისტოდან მოქალაქეების მიერ დაგროვილი საპენსიო დანაზოგის ინვესტირების წესი იცვლება. დაგროვებითი პენსიის პროგრამის მონაწილეები თავად გადაწყვეტენ, 2019 წლიდან დღემდე დაგროვებული თანხა რა რისკის მატარებელ პორტფელებში დააბანდონ. მანამდე დანაზოგის დიდი ნაწილი ბანკების დეპოზიტებზე და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში იყო განთავსებული. ახლა კი მოქალაქეების კუთვნილი თანხები, მათი სურვილის შემთხვევაში, სამი სახის პორტფელში გადანაწილდება. საუბარია მაღალ, საშუალო და დაბალრისკიან პორტფელებზე, რომლებიც რისკებთან ერთად დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებს გარკვეულ სარგებელსაც მოუტანს.

დღეის მდგომარეობით, დაგროვებით საპენსიო სქემაში, საქართველოს 1 424 000 მოქალაქეა გაწევრიანებული. გასული 4 წელიწადნახევრის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც ეს სქემა ამოქმედდა, საერთო ჯამში, ყველა მოქალაქემ ერთად 3 მილიარდ 700 მილიონი ლარი დააგროვა. წლის განმავლობაში ჩვენს, ჩვენი დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიერ ჩვენთვის შეგროვებულ თანხას წლის ბოლოს ინვესტირების შედეგად მოპოვებული ფული, ანუ, ამონაგებიც ემატება. სქემის ამოქმედებიდან დღემდე ყველა ჩვენგანის ფული სტაბილურ დაბალ რისკიან აქტივებში ავტომატურად განთავსებოდა ხოლმე, მაგრამ, 7 აგვისტოდან ეს ყველაფერი იცვლება და ის ყველა ჩვენგანს ეხება.

7 აგვისტოდან, დაბალ რისკიან პორტფელთან გაჩნდება საშუალორისკიანი და მაღალრისკიანი პორტფელები და დაგროვებით პენსიაში ჩართულ თიოეულ მონაწილეს საშუალება მიეცემა თავად გადაწყვიტოს, უკვე დაგროვებულ ფულს რომელი რისკის აქტივში ჩადებს. ამ საინვესტიციო პორტფელებს შორის მთავარი სხვაობა ის არის, რომ თუ დაბალრისკიან აქტივებში ჩადებულ ფულს, წლის ბოლოს, სტაბილური ფაქტობრივად ფიქსირებული მოგება მოაქვს, მაღალრისკიანმა პორტფელმა შეესაძლოა ორმაგი მოგება მოგიტანოთ ან მოგება საერთოდ ვერ ნახოთ.

„მაღალრისკიანი ნიშნავს მზარდ პორტფელს. საშუალორისკიანი პორტფელი არის შერეული პორტფელი, სადაც ასევე არის აქციები, მაგრამ მასში არის ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტები. ხოლო, ნაკლებრისკიან პორტფელს შეგვიძლია დავარქვათ სტაბილური პორტფელი, რომელშიც უფრო მეტია სახაზინო ობლიგაციები, დეპოზიტები და დაახლოებით 20%-მდეა წარმოდგენილი გლობალური აქციები. ეს ძირითადი მახასიათებლებია ამ სამ საინვესტიციო პორტფელს შორის, შინაარსობრივი განსხვავება“ - აცხადებს გიგა მელიქიძე - საპენსიო სააგენტოს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი.

7 აგვისტოდან, 40 წლამდე მოქალაქეები ავტომატურად, მაღალრისკიან პორტფელში გადაინაცვლებენ. 40-დან 50 წლამდე მოქალაქეები საშუალორისკიანში, ხოლო, 50 წლიდან ზემოთ მოქალაქეები დაბალრისკიან პორტფელში დარჩებიან. თუმცა, ერთი თვის განმავლობაში, სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება თქვენი ფული სხვა იმ რისკიან აქტივებში გადაიტანოთ, რომელშიც გსურთ, ან საერთოდ, თქვენი თანხა ამ პორტფელებს შორის გადაანაწილოთ.

„ეს არის უკვე მზა პორტფელი მონაწილეებისთვის, რომელიც სტრატეგიული განთავსების ანალიტიკით არის შექმნილი. ეს არ არის შემთხვევით შექმნილი. ეს არის მნიშვნელოვანი ანალიზით შექმნილი პორტფელი, რომელმაც გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა დაამარცხოს ინფლაცია. სრული ინფორმაცია ექნება მონაწილეს, შიგნით რა აქტივის კლასები შედის, რა კონცენტრაციაა, რომელი ფონდებია შეძენილი, რომელი ობლიგაციებია შეძენილი, რომელი რეგიონის და ასე შემდეგ“ - გიგა მელიქიძე, საპენსიო სააგენტოს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი.

რომელ პორტფელში სჯობს თქვენი საპენსიო თანხის განთავსება, ამის სათქმელად ერთიანი უნიკალური ფორმულა არ არსებობს. მონაწილეებს არ შეეძლებათ თავად აირჩიონ რომელი ბანკის ანაბარზე, ან რომელი ქვეყნის ფასიან ქაღალდებსა თუ რომელი ორგანიზაციების აქციებში ჩადონ დაგროვებული ფული. ამ პორტფელებს საპენსიო სააგენტო თავად კრებს. მონაწილეები მხოლოდ რისკის დონეს აირჩევენ. თუმცა, საკუთარი პროტფელის შემადგენლობის ჩამონათვალი ეცოდინებათ. სამივე რისკის მქონე საინვესტიციო პორტფელების შექმნას ეროვნული ბანკი ზედამხედველობს. ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტის ნიკოლოზ გაგუას განცხადებით, სქემის მონაწილეებმა გადაწყვეტილება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მიიღონ. მათ შორის, პენსიაში გასასვლელი დროის მიხედვით.

„შეიძლება ბევრისთვის ეს დაბალრისკიანი, საშუალო და მაღალრისკიანი პორტფელები ცოტა დამაბნეველი იყოს. დაბალრისკიანი შესაძლოა უფრო მიმზიდველად ჟღერდეს, მაგრამ საფინანსო სექტორში, მაღალრისკიანი პორტფელი ძირითადად გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მაღალ მოგებასთან არის ასოცირებული. შესაბამისად, ის ადამიანები, რომლებიც დიდი ხანი უნდა დარჩნენ საპენსიო სისტემაში, ანუ ახალგაზრდები, მაქსიმალური მომგებიანობის თვალსაზრისით, მათთვის უმჯობესია მაღალრისკიანი პორტფელი და არა დაბალრისკიანი პორტფელი. დაბალრისკიანი უფრო მიზანშეწონილია ვინც რამდენიმე წელიწადში, მაგალითად 5-6 წელიწადში დატოვებს საპენსიო სისტემას. საშუალორისკიანიც შესაბამისად“ - განაცხადა ნიკოლოზ გაგუამ, ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტმა.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ერთგვარი საერთაშორისო პრაქტიკა ასეთია. თუ პენსიაში გასვლამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგ: 20-30 წელი, ასეთი გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში, სჯობს თანხა კომპანიების აქციებში ჩაიდოს, რადგან აქციები მოკლევადიან პერიოდში, მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური რყევებიდან გამომდინარე შედარებით შეიძლება გაუფასურდეს, მაგრამ შემდეგ მოიმატოს. თუმცა, არსებობს სხვა მიდგომის რეკომენდაციაც. მაგალითად: დაბალრისკიან პორტფელს წლიური 14%-იანი მოგება აქვს, რაც იმდენად კარგი ამონაგებია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგ: 3-5 წლის განმავლობაში, ეს უფრო კარგი ამონაგები იქნება, ვიდრე მაღალრისკიანი აქციების ამონაგები.

„თანამონაწილე ხდება დამზოგველი რისკის თანბრად აღების პროცესში. თუ მან ვერ შეარჩია სწორი სტრატეგია ან მისმა სტრატეგიამ სწორი შედეგი ვერ გამოიღო, შესაძლოა მან სარგებლის ნაცვლად მიიღოს დანაკარგი. ანუ, მისი დაგროვილი თანხა შესაძლოა არ გაიზარდოს და პირიქით შემცირდეს. ის ტვირთი რაც ჰქონდა საპენსიო სააგენტოს, რომ მას გარანტირებულად უნდა მოეტანა სარგებელი მოქალაქისთვის, ახლა ხდება ამ ტვირთის გადანაწილება მოქალაქეზეც. ფაქტობრივად, ჩვენ ვხდებით თანამონაწილე იმ პროცესის, რამდენად მოვახერხებთ ჩვენი დანაზოგით მეტი სარგებლის ნახვას“ - ამბობს ეკონომისტი გიორგი ხიშტოვანი.

დაგროვებითი საპენსიო ფულის პორტელების მიხედვით განსაკარგად, 7 აგვისტოდან, იუსტიციის სახლებში შეგიძლიათ მიხვიდეთ. სწორედ აქ დაგეხმარებიან თქვენი თანხის ინვესტირებაში. თუმცა, ეს მხოლოდ 7 სექტემბრამდე შეგეძლებათ, თუ ამ შესაძლებლობას არ გამოიყენებთ, მაშინ თქვენი ფული ავტომატურად დარჩება იმ რისკიან პორტფელში, რომელსაც თქვენი ასაკის გათვალისწინებით კანონი ადგენს. ხელახალი ინვესტირება კი 12 თვის, ანუ 1 წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

რატომ ცხელა წელს მსოფლიოში ასე ძალიან?

ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილება აძლიერებს ამინდის ბუნებრივ ფენომენს, რომელიც აზიაში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სითბურ ტალღებს იწვევს; ამის გამო, მეცნიერები აცხადებენ, რომ 2023 შეიძლება ყველაზე ცხელი წელი იყოს კაცობრიობის მიერ აღრიცხულთა შორის.

სტატიაში გთავაზობთ ექსპერტთა განმარტებებს, თუ რატომ არის 2023 წელი ასე ცხელი და იქვე გვაფრთხილებენ, რომ რეკორდული ტემპერატურა კიდევ უფრო მოიმატებს, თუკი კაცობრიობა მკვეთრად არ შეამცირებს პლანეტის გამათბობელი აირების გაფრქვევას.

ელ-ნინიო და სხვები

2022 წლის რეკორდულად ცხელი ზაფხულის შემდეგ, დაბრუნდა წყნარი ოკეანის გამათბობელი ფენომენი, სახელად ელ-ნინიო, რომელიც ოკეანეებს ათბობს. „ამან ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილი შეიძლება კიდევ უფრო გაათბოს, თუმცა, იმის გამო, რომ ელ-ნინიოს მოვლენა მხოლოდ ახლა იწყება, ეს ეფექტის ალბათ მხოლოდ მცირე ნაწილი იქნება“, – წერს ორგანიზაცია Berkeley Earth-ის ტემპერატურის მონიტორინგის ჯგუფის მეცნიერი რობერტ როდე. ჯგუფის გათვლებით, 81 პროცენტია იმის შანსი, რომ 2023 ყველაზე ცხელი წელი გახდეს მას შემდეგ, რაც თერმომეტრის მონაცემთა ჩაწერა დაიწყო, მე-19 საუკუნის შუა წლებიდან.

მტვერი და გოგირდი

ატლანტის ოკეანის გათბობა შესაძლოა კიდევ უფრო გაამძაფრა ორი ისეთი ნივთიერების რაოდენობის შემცირებამ, რომლებიც ოკეანიდან მზის სინათლეს უკან აირეკლავენ: ესენი საჰარის უდაბნოდან ატანილი მტვერი და გემების საწვავის მიერ გამოყოფილი აეროზოლები. როდეს მიერ ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ რეგიონისთვის ჩატარებული ტემპერატურის ანალიზი მიუთითებს, რომ ბოლო თვეებში, საჰარიდან განსაკუთრებით ცოტა ოდენობის მტვერი მოდის. გერმანიის ფედერალური კლიმატური სერვისცენტრის მეცნიერის, კარსტენ ჰაუსტეინის განცხადებით, ამის მიზეზი კი არის ატლანტიკური ქარების უჩვეულო შესუსტება. ამავე დროს, 2020 წელს ნაოსნობაში შემოღებულმა ახალმა შეზღუდვებმა ტოქსიკური გოგირდის გამონაბოლქვი შეამცირა. როდეს განცხადებით, ეს მთლიანად არ უნდა ხსნიდეს ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ტემპერატურის მატებას, მაგრამ უნდა აძლიერებდეს მის სიმწვავეს.

„უძრავი“ ანტიციკლონები

გამთბარო ოკეანე გავლენას ახდენს ხმელეთის ამინდზე, ზოგიერთ ადგილებში განაპირობებს სითბურ ტალღებს და გვალვებს, ზოგში კი შტორმებს და ა. შ. რიდინგის უნივერსიტეტის კლიმატურ მეცნიერებათა პროფესორის, რიჩარდ ალენის განცხადებით, ცხელი ატმოსფერო ერთ ადგილას ტენიანობას შთანთქავს და მას სხვა ადგილას გამოათავისუფლებს. ცნიერები ხაზს უსვამენ ხანგრძლივი ანტიციკლონური სისტემების სიგრძეს და სიძლიერეს, რაც სითბურ ტალღებს იწვევს. „იქ, სადაც კონტინენტთა თავზე უძრავი მაღალი წნევის ზონები ნარჩუნდება, ჰაერი დაბლა ეშვება და თბება, შლის ღრუბლებს და იწვევს ზაფხულის მზიან დღეებს, ამ დროს კი ცხელდება მიწა და მის თავზე ჰაერი. ასეთ დროს სითბური ტალღები ადგილზე შეიძლება კვირების განმავლობაში დარჩეს“, – ამბობს ალენი. ევროპაში, „აფრიკიდან შემოსული ცხელი ჰაერი ადგილზეა გაჩერებული, მაღალი წნევის პირობებში, რაც იმას ნიშნავს, რომ გრძელდება ზღვის, ხმელეთისა და ჰაერის უფრო გაცხელება“, – ამბობს რიდინგის უნივერსიტეტის კლიმატური მეცნიერი ჰანა კლოკი.

კლიმატის ცვლილების როლი

გაერო-ს კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი (IPCC) საკუთარ გლობალურ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ 1950-იანი წლების შემდეგ, კლიმატის ცვლილებამ მომაკვდინებელი სითბური ტალღები უფრო გაახშირა და გააძლიერა პლანეტის ხმელეთის უმეტეს რეგიონებში. ამ თვის სითბური ტალღები „ერთეული ფენომენი კი არ არის, არამედ წარმოადგენს ერთდროულად მოქმედ რამდენიმე ფენომენს. თუმცა, ყველა მათგანს აძლიერებს ერთი ფაქტორი –კლიმატის ცვლილება“, – ამბობს საფრანგეთის პიერ-სიმონ ლაპლასის კლიმატის ინსტიტუტის მეცნიერი რობერტ ვოტარდი. მაღალმა გლობალურმა ტემპერატურამ სითბური ტალღები უფრო გაახანგრძლივა და გააძლიერა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მამოძრავებელი ძალაა, კლიმატის ცვლილება ის ერთი ცვლადია, რომელზეც ადამიანებს გავლენის მოხდენა შეუძლიათ –ამისათვის საჭიროა შემცირდეს წიაღისეული საწვავის წვის შედეგად აირების გაფრქვევა. „კლიმატის ჩვეულებრივი, კარგად ცნობილი ბუნებრივი რხევებიდან გადავდივართ ჯერ უცნობ და უფრო ექსტრემალურ ტერიტორიაზე. თუმცა, გვაქვს შესაძლებლობა, რომ შევამციროთ ჩვენი, ადამიანური გავლენა კლიმატზე და არ შევქმნათ უფრო ექსტრემალური და ხანგრძლივი სითბური ტალღები“, – ამბობს მელისა ლაზენბი, სასექსის უნივერსიტეტის უფროსი ლექტორი კლიმატის ცვლილების საკითხებში.

სიცხის პროგნოზი

Berkeley Earth გვაფრთხილებს, რომ ამჟამინდელმა ელ-ნინიომ 2024 წელს დედამიწა შეიძლება კიდევ უფრო გააცხელოს. IPCC აღნიშნავს, რომ სითბური ტალღების რისკი უფრო ხშირდება და ძლიერდება, თუმცა, მთავრობებს კლიმატის ცვლილების შეზღუდვა ჯერ კიდევ შეუძლიათ სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებით. „ეს მხოლოდ დასაწყისია. ნახშირბადის ემისიების ღრმა, სწრაფ და მდგრად შემცირებას ნულამდე, დათბობის შეჩერება შეუძლია, მაგრამ კაცობრიობას მომავალში უფრო ძლიერ სიცხესთან შეგუება მოუწევს“, – ამბობს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის გლობალურ ცვლილებათა მეცნიერების ხელმძღვანელი საიმონ ლევისი.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

კარგი საჭმელი = კარგ განწყობას

დედოფლისწყაროს გასტრონომიულ სამყაროში სიახლეა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობას კულინარიული ნაწარმის მრავალფეროვანი არჩევანი აქვს, შანშაშვილმა ამ სიას თავისი პროდუქტიც დაამატა. გემოვნურ თვისებებთან ერთად ფუნთუშების, დიდი და პატარა დესერტების, სენდვიჩების და ა.შ. ვიზუალური მხარეც იმოქმედებს თქვენს ხასიათზე. რატომ კულინარია, რატომ ტკბილეულის სამყარო და სრულიად განსხვავებული სფერო, ამაზე თავად დამფუძნებელი გვესაუბრა.

– სოფო, შენ ჩვენს მკითხველს სხვადასხვა კუთხით ახსოვხარ - პიროვნული განვითარების „აჰა“ მომენტი“ დღიურის ავტორი, ორგანიზაცია „კაუჭის“ დამფუძნებელი და ა.შ. მოგვიყევი შენი ახალი საქმის შესახებ. როგორ „მოხვდი“ ტკბილეულობის სამყაროში და რატომ კულინარია?

„ტკბილეულის“ სამყაროში ბავშვობიდან ვცხოვრობ. მახსოვს, პირველი ტორტი 7 წლის ასაკში გამოვაცხე. ძალიან მიყვარს გემრიელობები და მომზადების პროცესიც გადაიქცა ჰობად. როგორც ზემოთ ახსენეთ, დიახ, ბევრ სფეროში გამოვცადე საკუთარი თავი და შესაძლებლობები. სიახლეები ყოველთვის მიზიდავდა, რაც საკუთარი თავის ძიებაში მეხმარება. დღემდე აქტიურად მუშაობს „კაუჭიც“ და „აჰაც“. ქოუჩინგი და საკუთარ თავზე მუშაობა დამეხმარა, რომ ბავშვობის ინტერესები და ჰობი საქმიანობად მექცია. მჯერა, რომ ადამიანმა ყველა რესურსი უნდა გამოიყენოს, რაც მას გააჩნია. რაღაც შეგიძლია იმიტომ, რომ ეს ვიღაცას სჭირდება. ამიტომ, ჩემი მისია, ბედნიერება მივანიჭო ადამიანებს, აქაც „შედგა“. კულინარია კი იმიტომ, რომ ეს ის საქმეა, რაც მიყვარს და კარგად გამომდის. სწორედ ამიტომ, რატომაც არა? მეც ვცადე ჰობის ბიზნესად გადაქცევა.

– რატომ სახელი „food mood“ და რა ახალ სიტყვას ამბობს ის ჩვენი მუნიციპალიტეტის გასტრონომიულ ცხოვრებაში?

მინდოდა, რომ სახელს ესაუბრა ბიზნესზე. მსურდა ეს ყოფილიყო ისეთი საკვები, რომელიც ჩვენს განწყობაზე ზრუნავს. სიახლეა ის, რომ გემრიელობასთან ერთად, ჩვენს გემრიელობებთან ერთად სამოტივაციო ფრაზებს აღმოაჩენთ, რომელიც ნამდვილად ამართლებს სახელს და ნამდვილად ქმნის პოზიტიური განწყობას.

– როგორი ტიპის პროდუქტს სთავაზობს „food mood“ მომხმარებელს და როგორი იქნება თქვენი მომსახურების ტიპი?

გვაქვს ე.წ ჭიქის დესერტები სეზონური ხილის მიხედვით. უგემრიელესი ბერლინური ფუნთუშები და სენდვიჩები. ჩვენს ფეისბუქ გვერდზე „Food Mood.ფუდ მუდი“ ვაანონსებთ მომდევნო დღის მენიუს და შესაბამისად, წინა დღით ვიღებთ შეკვეთებს. მომდევნო დღეს კი სიყვარულით ვარიგებთ სასურველ მისამართზე.

– პროდუქტის არჩევისას ხარისხთან ერთად, ალბათ, გადამწყვეტი არის ფასიც. როგორი იქნება თქვენი ფასთა სისტემა?

რა თქმა უნდა, ფასი გადამწვეტია. ჩვენს პოტენციურ მყიდველს მინდა ვუთხრა, რომ ფასები არ იქნება „მიუწვდომელი“. თუმცა, აქვე მინდა ვთქვა, რომ რადგან ვიყენებთ ხარისხიან, ახალ პროდუქტებს, ამიტომ პროდუქციას ფასიც ხარისხის შესაბამისი ექნება.

– როგორი განცდაა სრულიად ახალ სფეროში შესვლა და ახალ გამოწვევებთან შეხვედრა, მსგავსი გამოცდილება რა უნარებს სძენს ადამიანს?

ნებისმიერი ახალი საქმის წამოწყება გვეხმარება „კომფორტის ზონის“ დატოვებაში. რა თქმა უნდა, არის პატარა შიშები: შევძლებ თუ არა, გაამართლებს თუ არა, მოეწონებათ თუ არა, მიმიღებენ თუ არა და ბევრი მსგავსი რამ. თუმცა, მთავარია იცოდე რას და რატომ აკეთებ, გაბედო, სცადო, დატოვო კომფორტის ზონა. რა ხდება ამის შემდეგ? უპირველესად, შიშებს ამარცხებ, საკუთარ შესაძლებლობებს სწავლობ, ხდები უფრო თავდაჯერებული და საკუთარ ძალებში დარწმუნებული, რადგან უკან მოიტოვებ ყველა შიშსა თუ გამოწვევას. და ყველაზე მთავარი - სწავლობ ძალიან ბევრს, იზრდები და ვითარდები!

– სამომავლო გეგმებზე გვესაუბრე, როგორი იქნება „food mood“-ის შემდგომი ნაბიჯები? რას უნდა ელოდოს მომხმარებელი?

სულ მალე მივიღებთ ფურშეტის შეკვეთებს. სამომავლოდ უფრო მეტი არჩევანის შესაძლებლობა იქნება. ვიმედოვნებ, რომ მუნიციპალიტეტის ყოველდღიურობად იქცევა Food Mood-i. Good Food=Good Mood (კარგი საჭმელი=კარგი განწყობა).

პ.ს გაზეთი „შირაქი“ წარმატებას უსურვებს სოფოს და მის ახალ წამოწყებას. ვიმედოვნებთ, რომ „food mood“-ის პროდუქცია დედოფლისწყაროელების ერთ-ერთ ფავორიტად გადაიქცევა. საკუთარი გამოცდილებიდან თუ ვიმსჯელებ, სოფოს შექმნილი „food mood“ გაოცების ყველანაირ ზღვარს სცდება. დახვეწილი ვიზუალი, დაბალანსებული, ახალი პროდუქტების მიმზიდველი გემო და, რაც მთავარია, მამოტივირებელი ფრაზები, რომელიც თან ერთვის პროდუქტს, სრულად ამართლებს თავის სახელს. ის გაყენებს პოზიტიურ განწყობაზე და გილამაზებს ერთ ჩვეულებრივ დღეს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 31.07		სამშაბათი 01.08		ოთხშაბათი 02.08		ხუთშაბათი 03.08		პარასკევი 04.08		შაბათი 05.08		კვირა 06.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	27°	18 °	30°	19 °	32 °	20 °	32 °	20 °	32 °	20 °	32 °	20 °	32 °	20 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი